საქართველოს ორგანული კანონი

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში (პარლამენტის უწყებანი, №13, 7.06.96, გვ. 12) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:
1. 25-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საქართველოს სახალხო დამცველს ეძლევა თანამდებობრივი სარგო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.“.

2. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის VI თავი:

„თავი VI. გარდამავალი დებულებები

მუხლი 28

2024 წლის 1 აპრილიდან 31 დეკემბრამდე საქართველოს სახალხო დამცველის შრომის ანაზღაურება განისაზღვროს „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის №3 დანართის №3 ცხრილით გათვალისწინებული საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობრივი სარგოს კოეფიციენტის ზედა ზღვრით.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2024 წლის 1 აპრილიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

7 მარტი 2024 წ.

N4085-XIVმს-Xმპ